

სუმარე კუნძულების

ჩანარა ტელეს და დაკონალებ  
თა მარ შეფინანს



გამომცემლობა „ენივერსალი“  
თბილისი 2010

უაკ (UDK) 94(478.22) „1160-1213“

კ – 404

**რედაქტორი:** ისტორიის დოქტორი, თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი  
**ანდრო გოგოლაძე**

წარმოდგენილ ნაშრომში გამოკვლეულია წყაროები თა-  
მარ მეფის გარდაცვალებისა და დაკრძალვის შესახებ.  
მოყვანილია სხვადასხვა ისტორიკოსთა ვარაუდები აღ-  
ნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. გამოთქმულია ახალი  
მოსაზრებები.

წინამდებარე ბროშურა გაკუთვნილია სპეციალისტე-  
ბისთვისა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებული  
საზოგადოებისათვის.

წიგნის გამოსაცემად დახმარებისთვის უღრმეს მადლობას  
ვუძღით ქალბატონ **ნათია ლეჟავას.**

© თ. კენკებაშვილი, 2010

გამომცემლობა „ანივერსალი“, 2010

თბილისი, 0179, ი. ვაკევაძის გამზ. 19, თე: 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-947-6

## შესავალი

ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთი პრობლემა-ტური ადგილი უკავია თამარ მეფის გარდაცვალების, დაკრძალვისა და მისი საფლავის ადგილმდებარეობის საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ თამარის მეფობის შე-სახებ ცნობებს რამოდენიმე ქართული საისტორიო წყარო გვაწვდის ეს საკითხი მაინც გაურკვევლად რჩება. ამ საკითხთან მიმართებაში თითოეული ქართული თუ უცხოური საისტორიო წყარო განსხვავებულ მოსაზრებას გადმოგვცემს, რის გამოც მუშაობა ძნელდება. მაგრამ ქართველი ისტორიკოსების, ივანე ჯავახიშვილის, კორნელი კეკელიძის, სიმონ ყაუხჩიშვილის, თელო უორდანიას, ნიკო ბერძენიშვილის და სხვათა ნაშრომების წყალობით შესაძლებელი ხდება იმდროინდელი ისტორიული სიტუაციის აღდგენა და შეფასება.

ნაშრომში გამოკვლეულია ქართული და უცხოური წყაროები, რომლებიც ეხება თამარ მეფის სიცოცხლის ბოლო პერიოდს და მისი გარდაცვალება-დაკრძალვის საკითხს.

დაბოლოს, თავს მოვალედ ვთვლით დიდი მადლობა მოვახსენოთ ამ წიგნის რედაქტორს, ისტორიის დოქტორს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ანდრო გოგოლაძეს ნაშრომზე მუშაობისას განეული დახმარებისათვის.

## თამარ მეფის გარდაცვალება და დაპრძალვა

„**მ**ხიარულად ამბისაგან მეტყუელი პირი ან მწუ-  
ხარებისა მიმართ მიიქცევის. რამეთუ მეგულ-  
ვების ან [მე] წარმოთქმა ყოვლისა სოფლისა  
საგლოველისა ამბისა“.<sup>1</sup> ასე იწყებს მემატიანე  
თამარ მეფის გარდაცვალების ამბის თხრობას.

„ნაჭარმაგევს გარდმოდგა მეფე თამარ, და მის წინა-  
შე იყუნეს ყოველნი დიდებულნი და წარჩინებულნი, და  
იურვნა და განაგნა საქმენი სამეფოსა თვისისანი, და  
უფროსღა ეკლესიათა და მონასტერთანი. და მუნ დგო-  
მასა შინა გამოაჩნდა სენი რამე მომაობრებელი ჩუენი,  
რომელი დღითი-დღე დამძიმდებოდა მის ზედა და დიდ-  
ხან ფარვიდა, რათა არავინ შეანუხოს, გარნა ურგებელ  
იქმნა რაღ ჭირი, არა მიმთუალველი კურნებისა, მაშინდა  
განაცხადა, რამეთუ დედობრივმან უძლურებამან გან-  
გრძობილთა შინა მკედრობათა არა თავს იდვა შეუმ-  
თხუეველად მიშუება აგებულებისა.“

„და აქა საპრალობელ მიჩნს დიდად ერთგულნი იგი  
კაცნი, თუ ვითარ უგულებელს ყუეს ეგოდენი ტკივნეუ-  
ლობად მისი: რამეთუ წარმოიყუანეს კუბოთა ტფი-  
ლის[ს], და შემდგომად მცირეთა დღეთა ენებათ ჩუეუ-  
ლებისაებრ, რათა დასოს განვიდნენ“.<sup>2</sup> (კუბო „ესე არს

<sup>1</sup> ბასილი ეზოსმოძვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნა-ნერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959. გვ. 144; ბა-  
სილი ეზოსმოძვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. ივ. ჯა-  
ვახიშვილის რედ. თბ. 1944. გვ. 32.

<sup>2</sup> ბასილი ეზოსმოძვარი ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის  
რედ. გვ. 144.

ქალთა და კაცთა ჩასაჯდომელი, აქლემთა ასაკიდებელი, გინა ხელით სატარებელი“ – სულხან-საბა ორბელიანი; ვახუშტი ბატონიშვილი კი ასე განგვიმარტავს: „კუბო – „ტახტრევანი“<sup>3</sup>).

დასო იყო თბილისის მიდამოებში, მთიან ადგილას, ხშირი ტყე (მაღნარი), სადაც მეფე თავისი კარით ზაფხულსა და შემოდგომას ატარებდა.<sup>4</sup> „დასო არს მაღნარისა და ჰერიტისა რომელთაცა ფიჩხთა სახელი არს“<sup>5</sup>

„ისწავლეს და მუნ ნარიყვანეს კუპონთავე და დიდად გაძნელდა სენი იგი უწყალო. და კუალად ნარმოიყუანეს აგარათა ციხესაა“<sup>6</sup>.

სად იყო აგარათა ციხე? ისტორიულად დადასტურებულია, რომ იგი დღევანდელი კოჯრის ციხეა.<sup>7</sup>

„და უქმ იქმნა მის ზედა ყოველივე ბუნებათა გამომეძიებლობა მკურნალთა კელოვნებისა...“

„... და მერმე უკანასკნელ ჭმა აღმოუტევა, და ყოველთა მშვიდობა მისცა, ესრეთ მეტყუელმან: <ქრისტე ღმერთო [ჩემო] მხოლოდ, დაუსრულებელო მეუფეო ცათა და ქუეყანისაო, შენ შეგვეძრებ სამეფოსა ამას, რომელი შენ მიერ მერწმუნა, და ერსა ამას პატიოსნითა სისხლითა შენითა მოსყიდულისა, და შვილთა ამათ ჩემთა, რომელნი შენ მომცენ, და მერმე სულსა ჩემსა>. მაშინ გან-

<sup>3</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, აღნერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხეჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973. გვ. 933.

<sup>4</sup> ნ. ბერძენიშვილი, ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან. უურნ. „მიმომხილველი“. 1951. №2. გვ. 54.

<sup>5</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. ქართლის ცხოვრება. ს. ყაუხეჩიშვილის რედ. ტ. IV. თბ. 1973. გვ. 191.

<sup>6</sup> ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ნუსხა. ე. თაყაიშვილის რედ. თბ. 1906. გვ. 530; ბასილი ეზოსმოძღვარი. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხეჩიშვილის რედ. ტ. II. გვ. 144.

<sup>7</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ ნაშრომი; თ. კენკებაშვილი, კოჯრის ისტორია. თბ. 2009. გვ. 6.

ვიდეს ყოველნი მწარედ მტირალნი. და თამარ დაიძინა ძილი იგი მართალთა, და აღესრულა მზე ქართლისა, და საფლავმან სადიდებელად თვისად დაგვაჭირვა ცხოვ-რება მსოფლიო ყოველთა ქრისტიანეთა“.<sup>8</sup>

მართალია, ქართლის ცხოვრებაში ნათქვამია, თამარ მეფე აგარათა ციხეს გარდაიცვალაო, მაგრამ მისი გარ-დაცვალების ადგილი მაინც სადაც საკითხია, რადგან იქვე სწერია: „მიიცვალა მეფე თამარ კმელსა დგომასა შინა“.<sup>9</sup>

რას უნდა ნიშნავდეს „კმელსა“? ეს სიტყვა შესწავლი-ლი აქვს აკად. კ. კეკელიძეს. იგი ამ სიტყვას გადამწერის შეცდომად თვლის და ამბობს: „კმელსას“ მაგივრად „ტა-ბა-კმელსა“ უნდა ეწეროსო. ნ. ბერძენიშვილის აზრით: აგარათა ციხეს „იმ დროს, ჩანს ტაბა-კმელაც ეწოდებო-და“<sup>10</sup>. თ. უორდანია ფიქრობს, რომ „კმელსა დგომასა შინა“ უნდა ნიშნავდეს მარხვას, „როდესაც აკრძალულია თევზი, ღვინო და ზეთი და ჩვენის აზრით ეს უნდა იყოს მარიამობის მარხვა“<sup>11</sup> (ივ. ჯავახიშვილს კი, ამ სიტ-ყვაზე ყურადღება არ აქვს გამახვილებული). მე მგონია, რომ სიტყვა „კმელსა“ გადამწერის შეცდომა ან მარხვა კი არა, არამედ სიტყვის „ტაბა-კმელსა“-ს შემოკლებუ-ლი ფორმა უნდა იყოს. აქ, ვეთანხმებით ნ. ბერძენიშვი-ლის აზრს. როგორც ჩანს, იმ დროს ამ ადგილს „ტაბა-

<sup>8</sup> მარიამისეული ქართლის ცხოვრება. გვ. 530-531; ზ. ჭიჭინაძე. ქართლის ცხოვრება. დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდე. წII. ტI. ტფ. 1898. გვ. 488; ბასილი ეზოსმოძღვარი. ქართლის ცხოვ-რება, ს. ყაუხჩიშვილის რედ. ტ. II. გვ. 144-146.

<sup>9</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, კ. კეკელიძის რედ. თბ. 1941. გვ. 40; ისტორიანი დააზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ. ტ. II. გვ. 112.

<sup>10</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 55.

<sup>11</sup> თ. უორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტო-რიისა. ტფ. 1892. თბ. 2004. გვ. 301.

ჭმელა“ ეწოდებოდა. („ზემო ტაბახმელას ანუ კოჯორს“ გარდაიცვალა თამარიო).<sup>12</sup> ამას ამტკიცებს ისიც, რომ ითანე ბატონიშვილს თავის ქართლის ისტორიაში (რომელიც კალმასობაშია შეტანილი) უწერია, რომ თამარ მეფე „ზემო ტაბა-ჭმელას“ გარდაიცვალა.<sup>13</sup>

რომელ წელს გარდაიცვალა თამარი? მარიამ დედოფლისეულ ქართლის ცხოვრებაში და ბასილი ეზოს-მოძღვარის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“-ში თარიღი არ არის. მხოლოდ სწერია: „თუ ვისა იანვარსა იტ“,<sup>14</sup> (რაც უდრის 18 იანვარს) გარდაიცვალაო. ისტორიკოსები ძირითადად ასახელებენ თამარის გარდაცვალების სამ თარიღს, ესენია: 1207, 1210 და 1212 წლები. 1207 წელი გამორიცხულია. ივ. ჯავახიშვილი 1207 წელს გამორიცხავს ზაქარია ამირსპასალარის გარდაცვალების წლით. ზაქარია ამირსპასალარი გარდაიცვალა 1212 წელს, ხოლო თამარ მეფე ამის შემდეგ უნდა გარდაცვლილიყო.<sup>15</sup> ჩვენ 1207 წლის უარყოფას ავხსნი დავით სოსლანის გარდაცვალებით. დავით სოსლანი გარდაიცვალა 1207 წელს<sup>16</sup> და რა თქმა უნდა, მისი გარდაცვალების შემდეგ, თამარის გარდაცვალებამდე, რამოდენიმე ხანს უნდა გაევლო. ჩვენ, თამარის გარდაცვალების

---

<sup>12</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. VIII. თბ. 1979. გვ. 308.

<sup>13</sup> ისტორიანი და აზმანი, კ. კეკელიძის რედ. გვ. 41.

<sup>14</sup> ბასილი ეზოსმოძღვარი. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ. ტ. II. გვ. 146.

<sup>15</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. ტ. II. თბ. 1931. გვ. 290; ზაქარია ამირსპასალარის გარდაცვალების აღნიშნული თარიღი უწერია ვარდანსაც. იხ. Всебощая История Вардана Великаго, Перевель Н. Эминъ. Москва. 1861г. стр. 172.

<sup>16</sup> ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა. ს. ყაუხჩიშვილის რედ. თბ. 1942. გვ. 242; ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 279-280.

წლებიდან 1212 წელიც უნდა გამოვრიცხოთ, რადგანაც 1212 წლის ივნისს, ივლისსა და აგვისტოში მიმდინარეობდა მთიულთა აჯანყების ჩახშობა და ამ პერიოდში თამარ მეფე ცოცხალია.<sup>17</sup>

რაც შეეხება 1210 წელს... ამ პერიოდის ნუმიზმატიკური მასალების გამოკვლევის შედეგად საინტერესო დასკვნები აქვს გამოტანილი თ. დუნდუას.<sup>18</sup> იგი ნუმიზმატიკურ მასალებზე დაყრდნობით ფიქრობს, რომ თამარ მეფე 1210 წელს უნდა გარდაცვლილიყო,<sup>19</sup> მაგრამ არ გამორიცხავს იმასაც, რომ შესაძლებელია „ამ დროისთვის დედამ გადასცა გიორგის სამეფო ხელისუფლების დიდი ნაწილი“<sup>20</sup> ამ წელთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ არა მარტო ნუმიზმატიკური მასალა, არამედ რამოდენიმე ქართული და უცხოური წყარო თითქოს ადასტურებენ თამარის გარდაცვალების თარიღად 1210 წელს. მაგალითად: ქართული წყაროებიდან: ბარათაშვილისეული ქართლის ცხოვრება, რომელშიც თამარის გარდაცვალების თარიღად სწერია: „ქორონიკონსა ულ“ რაც უდრის 1210 წელს ( $780+430=1210$ ).<sup>21</sup> უცხოური წყაროებიდან: რომის პაპის იოკენტი III –ის მიერ 1211 წელს მიწერილი ეპისტოლე ლაშა-გიორგისადმი: „საქართველოს ბრწყინვალე

<sup>17</sup> ისტორიანი და აზმანი, კ. კეკელიძის რედ. გვ. 42.

<sup>18</sup> გ. დუნდუა, თ. დუნდუა, ქართული ნუმიზმატიკა. ტ. I. თბ. 2006. გვ. 201-210.

<sup>19</sup> იქვე. გვ. 208. იგივეს ამტკიცებენ თ. ნატროშვილი და გ. ჯაფარიძე. იხ. მათი: ცდა ერთი თარიღის დადგენისა. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურეს სერია, 1974, №1. გვ. 151-165.

<sup>20</sup> თ. დუნდუა, თ. ქამუშაძე, ანტიკური და ფეოდალური ხანის საქართველოს ნუმიზმატიკა. თბ. 2007. გვ. 25.

<sup>21</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 290.

მეფეს მოწოდება წმინდა მიწის დასაცავად“.<sup>22</sup> აგრეთვე არსებობს ჰახბატის მონასტრის 1210 წლის სომხური წარწერა, რომელიც ზაქარია ამირსპასალარის სახელითაა ამოჭრილი: „წელთა ღმრთივცხებულისა მეფეთ მეფისა გიორგისა, დიდისა მეფისა თამარის ძისათა“, სადაც ამირსპასალარი ამბობს შესწირა: „მეფისა (და არა მეფეთა-ი.ჯ.) დღეგრძელობისათვის“.<sup>23</sup>

მაგრამ, თამარი აშვარაა რომ 1210 წლის შემდეგ ცოცხალია. თუნდაც ამას მოწმობს ზემოთ დასახელებული მთიულთა აჯანყების ლიკვიდაცია (1211-1266.), ზაქარია ამირსპასალარის გარდაცვალება (1212 წ.). 1212 წლის ზაფხულის შემდეგ თამარი „ზამთარს დვინს“<sup>24</sup> იყვის და ზაფხულს კოლას და ცელის ტბასა, ზოგჯერ გარდავიდის აფხაზეთს: გეგუთს და ცხუმს“.<sup>25</sup> ამ ციტატიდან ჩანს, რომ 1212 წლის შემდეგ თამარი რამდენიმე წელს კიდევ ცოცხალი იყო. კ. კეკელიძე მიიჩნევს, რომ „სიტყვები, „იყვის, ზოგჯერ გარდავიდის“, მაჩვენებელია მოქმედების მრავალგზისობისა, ამიტომ შეგვიძლია ვიფიქოთ, რომ 1212 წლის ზაფხულის შემდეგ თამარის სიკვდილამდე გაუვლია არა ერთს ზამთარსა და ზაფხულს“.<sup>26</sup> ივ. ჯავახიშვილის აზრით თამარ მეფე 1213-1214 წწ. უნდა გარდაცვლილიყო, მაგრამ ამ წლებს ქართლის ცხოვრება (და არც სხვა რაიმე ცნობა) არ ადასტურებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ივ. ჯავახიშვ-

<sup>22</sup> ა. გოგოლაძე, მეფე ხუცესის ტრანსფორმირებული ვარიანტი დებუას ეპისტოლები. მ. ლორთქიფანიძე 85. თბ. 2007. გვ. 375.

<sup>23</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 290.

<sup>24</sup> ყაუხჩიშვილისეულ გამოცემაში: „დურს იყვის“. იხ. ბასილი ეზოსმოძღვარი. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ. ტ. II. გვ. 111.

<sup>25</sup> ისტორიანი და აზმანი, კ. კეკელიძის რედ. გვ. 42; მარიამისეული ქართლის ცხოვრება. გვ. 527.

<sup>26</sup> ისტორიანი და აზმანი, კ. კეკელიძის რედ. გვ. 42.

ვილის აზრს ბევრი მეცნიერი ეთანხმება. (რ. მეტრეველი ფიქრობს, რომ თამარი გარდაცვალა 1213 წლის იანვარში.<sup>27)</sup> აკად. კ. კეკელიძის აზრით თამარის გარდაცვალებას არ შეიძლება ადგილი ჰქონოდა არაუადრეს 1215 წლისა. ისტორიანი და აზმანში სწერია: „აღავსნა ეპისკოპოსნი და საყდარნი შენირვითა თავისუფალყვნა ეკლესიანი ხარაჯისა და ბეგარისაგან გააზნაურდეს ქუეყანისა მოქმედნი და გადიდებულდეს აზნაურნი და გაკელმნიფდეს დიდებულნი მეფობასა შინა ამისსა ათერთმეტთა მოქცევათა უამთა თამარ სამგზის სანატრელო რომელმან სიმშვიდითა დავითიანითა სიბრძნითა სოლომონიანითა სიმხნითა და საურავთა ღესის და ხვალეს არ მიგდებითა ალექსანდრიანითა...“<sup>28)</sup> რას უნდა ნიშნავდეს „ათერთმეტთა მოქცევათა უამთა“? კ. კეკელიძის აზრით იგი უნდა მიანიშნებდეს თამარის მეფობის სრულ წელს,<sup>29)</sup> მაგრამ შეუძლებელია თამარს თერთმეტი წელინადი ემეფა. როგორც ჩანს „ათერთმეტთა“ გადამნერის შეცდომაა და მის ადგილზე უნდა ეწეროს: „ოცდაათერთმეტთა მოქცევათა უამთა“<sup>30)</sup> ე.ი. 1215 წელი (1184+31=1215). აგრეთვე იერუსალიმის „სვინაქსარში“ რომელიც XIII საუკუნის I ნახევარში ყოფილა გადაწერილი, შემონახულია კატეგორიული ცნობა თამარის გარდაცვალების თვისა და რიცხვის შესახებ, მასში დასახელებულია 27 იანვარი: 27 იანვრის ქვეშ მიწერილია: „ამასავე დღესა განცვალა აქად ესე აქა ესე მეფობა ცხორებად და სუფევად საუკუნოდ ნეტარებით მოწსენებულმან თამარ დედოფალმან, რომლისა ჭისნება და კურთხევა საუკუნომცა

<sup>27)</sup> რ. მეტრეველი, მეფე თამარი. თბ. 1991. გვ. 206.

<sup>28)</sup> ისტორიანი და აზმანი, კ. კეკელიძის რედ. გვ. 17.

<sup>29)</sup> იქვე, გვ. 43.

<sup>30)</sup> იქვე.

არს“.<sup>31</sup> იქვე რამოდენიმე ადგილას სწერია: „ამათ წმი-დათა მეოხებითა მოიწსენე, უფალო, სული თამარ დე-დოფლისა“.<sup>32</sup>

ერთი შეხედვით თითქოს „კოჯორ-ტაბახმელას სა-ხაფხულო სადგურში ავადმყოფი ქალის აყვანა და ნო-ემბერ-დეკემბერში აქ გაჩერება არც იყო სავარაუდო: ნოემბერ-დეკემბერში იქ უფრო ცივა, ვიდრე კაბენის ქვაბულში, სადაც აკად ნ. ბერძენიშვილის აზრით „და-სო“ არსებობდა“<sup>33</sup> „მაგრამ აქ ნამდვილად წინააღმდე-გობა არაა: თამარის ავადმყოფობა დაიწყებოდა ნაჭარ-მაგევს ზაფხულში, მის გადაყვან-გადმოყვანას ადგილი ექნებოდა ზაფხულსა და შემოდგომის პერიოდში, ხოლო გარდაცვალებას, ტაბა ხმელას, 27 იანვარს“.<sup>34</sup> ამიტომ, ამ წყაროთაგან გამომდინარე სავარაუდოდ თამარი უნ-და გარდაცვლილიყო 1215 წლის 27 იანვარს.

„აქა რაღა ჯერ არს თქუმა, გარნა ბავთის[ა] ღალადი. ბნელი უნათლო, და გლოვა უნუგეშინის-[მ]ცემო. რამე-თუ, ვინ იყო ნუგეშინის მცემელი, ოდეს მწუხარება ზო-გადი იყო ყოველთათვის... ჭმასა თანა ვაებისასა ქუეს-კნელნიცა შეიძრნეს. ყოველნი ფლასითა [შეიმოსრნეს]. ესრეთ გვანდა, დაღათუ ჩუენ თანა იგლოვდესცა და ყო-ველი სოფელი.“

„მაშინ უკუე აღმოიყუანეს და მცირეთა შინა დღეთა მცხეთად დადვეს, და მერმე უკანასკნელ თვით მუნვე გელათს დაამკვიდრეს თვის შინა სამარხოსა, დიდებად

<sup>31</sup> ი. ლოლაშვილი, თამარ მეფის აკლდამა გელათში. თბ. 1989. გვ. 8-9.

<sup>32</sup> ისტორიანი და აზმანი, კ. კეკელიძის რედ. გვ. 42.

<sup>33</sup> ი. შაიშმელაშვილი, ჩაუქრობელი დიდების ქალაქი. თბ. 1987. გვ. 32.

<sup>34</sup> ისტორიანი და აზმანი, კ. კეკელიძის რედ. გვ. 42.

მუნ შინა დამკუიდრებულთა პაპ[ა]თა და მამათა მისთა, სახელოვანთა დიდთა მეფეთა თანა”<sup>35</sup>

გელათის დიდებული ტაძარი ააგო დავით აღმაშენებელმა ბაგრატიონთა გვარის საძვალედ. დავით IV იყო პირველი ბაგრატიონი, რომელიც დაკრძალეს გელათში. მის შთამომავლებს (დავით-ნარინის ჩათვლით: 1293წ.) ამ ტაძარში ასაფლავებდნენ. ამიტომ, როდესაც თამარის ისტორიკოსები ამბობენ: თამარი „გელათს დაამკვიდრეს თვისსა შინა სამარხოსა“, სრულიად სანდო უნყებაა.

---

<sup>35</sup> ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 488–489; მარიამისეული ქართლის ცხოვრება. გვ: 532–533; ბასილი ეზოსმოძღვარი. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხეჩიშვილის რედ. ტ. II. გვ. 146.

## დე გუას ეპისტოლე და ვარაუდები თამარ გეფის ნეშტის იორუსალიმში გადასვენების შესახებ

**00** ამარ მეფის საფლავის ადგილის საკითხთან მი-  
მართებაში აუცილებელია განვიხილოთ ფრან-  
გი ჯვაროსანი რაინდის დე ბუას ეპისტოლე, გაგზავნი-  
ლი სირია-პალესტინის საზღვრიდან საფრანგეთში, ბე-  
ზანსონელი არქიეპისკოპოსის ამედე დე ტრამლესადმი.  
მისი შინაარსი ასეთია:

„ლირსსა, ქრისტეს მიერ მამასა და მეუფეს ა(მადე-  
ოს), ღვთის განგებით ბეზანს(ონის) არქიეპისკოპოსს –  
მორჩილი მსახური გ... დე ბუა, ამენ.

... ან ისმინეთ სხვა რამ საკვირველი და საყურადღე-  
ბო. ამბად მივიღე, და საქმის სიჭეშმარიტე სანდო მოცი-  
ქულთაგან (მაცნეთაგან<sup>36</sup>) გავიგეთ, რომ ივერიითაგან  
ვინმე ქრისტიანენი, გიორგანებად წოდებულნი, ურიც-  
ხვი მხედრობით და ქვეითი ჯარით ღვთის აღმაფრთო-  
ვანებელ დახმარებით ძალათა ფრიად აღჭურვილით,  
ურწმუნო წარმართთა წინააღმდეგ სწრაფად აღდგნენ  
და, აიღეს რა უკვე 300 ციხე და 9 დიდი ქალაქი, მაგარნი  
დაიპყრეს ხოლო სუსტნი ნაცარტუტად აქციეს. აღნიშ-  
ნულ ქალაქთაგან ერთი, ევფრატზე მდებარე, ყველა  
წარმართთა ქალაქთაგან უფრო წარჩინებული ყოფილა  
და დიდი, იმ ქალაქის პატრონი ბაბილოვნის სულთნის  
შვილი იყო; და ზემონათქვამ ქრისტეანგაგან ტყვედ

<sup>36</sup> ვ. ჩაჩანიძე, პეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეო-  
ლოგიური გათხრები იერუსალიმში. თბ. 1974. გვ. 27.

ქმნილს, თავი მოეკვეთა, თუმცა უზომო ოქროს განძის მიცემა აღუთქვა“.

„კერძოდ რალა მოგახსენოთ? ზემო აღნიშნულნი წმინდა იერუსალიმის მიწის სახსნელად მოვლენ და მთელ საწარმართოს დაიმორჩილებენ. მეფე მათი წარჩინებული, თექვსმეტი წლისაა, ალექსანდრეს ბადალი ძალით და სიკეთით, თუმცა არა სარწმუნოებით. ჭაბუკი ესე დედამისის დედოფლის უძლიერესის თამარის ნეშტს თან ატარებს, რომელმაც, სანამ ცოცხლობდა, იერუსალიმად წასვლის აღთქმა დასდგა, და შვილსა თვისსა სთხოვა, თუ მიიცვალებოდა, რომ ძვლები მისი უფლის საფლავთან წაესვენებიათ. მან კი დედის თხოვნათა ყურადმდებელმა და დედის აღთქმის შესრულების მსურველმა, დააპირა მისი (გვამის) წმინდა ქალაქში წამოღება წარმართთა ნებით თუ უნებლიერდ...“<sup>37</sup>

პირველ რიგში ჩვენ შევეხებით წერილის დათარიღების საკითხს, ხოლო შემდეგ განვიხილავთ მას თამარის საფლავის ადგილთან მიმართებაში.

**რა ისტორიული მოვლენებია ასახული დე ბუას ეპისტოლეში და როდის დაინწერა იგი?**

ზ. ავალიშვილი ფიქრობს, რომ წერილი დაწერილია 1207-08 წლებში და მასში აისახა ქართველთა მიერ მოპოვებული დიდი გამარჯვება. ეს დიდი გამარჯვება უნდა ყოფილიყო ბასიანის ომი, რაც შეეხება ევფრატზე მდებარე ქალაქს, რომელიც ქართველებმა აიღეს, იგი არის კარი (კარინ, ე.ი. ერზრუმი).<sup>38</sup>

თ. ნატროშვილისა და გ. ჯაფარიძის აზრით, დე ბუას წერილში აისახა ქართველთა 1210 წლის ლაშქრობა

<sup>37</sup> ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან. თბ. 1989. გვ. 97-98; ვ. ჩაჩანიძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 27-28.

<sup>38</sup> ზ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 98-101.

ხლათზე და ეპისტოლე დაწერილია 1211 წელს. მათი აზ-რით წერილში მოხსენიებული ევფრატზე მდებარე უც-ნობი ქალაქი არის ხლათი. ხლათიდან ჩამოდის მდინარე მურად-სუ, რომელსაც სომხები ჭეშმარიტ ევფრატს ეძახიან. მურად-სუ სომხეთის შუაგულიდან იღებს სა-თავეს და უერთდება არზრუმიდან მომავალ ევფრატს, მათი აზრით, სწორედ ეს მეორე ევფრატი უნდა ჰქონ-დეს ნაგულისხმევი დე ბუას.<sup>39</sup> ეს ის ლაშქრობაა ხლათ-ზე, როდესაც ქართველთა ჯარს სარდლობდა ივანე მხარგრძელი, ხლათის სულთანი კი მელიქ ალ-აუჰადი ქალაქში შეკეტილიყო და ცხვირს ვერ ჰყოფდა გარეთ. როგორც წყაროდან ვიცით, ეს ამბავი მოულოდნელად მარცხიანად შემოუტრიალდათ ქართველებს. ივანე მხარგრძელის წინდაუხედაობამ ქალაქის აღების თით-ქმის დამთავრებული საქმე ჩაშალა. ქართველი მხედარ-თმთავარი მოულოდნელად ტყვედ ჩაუვარდა ალყაშე-მორტყმული ქალაქის მეციხოვნებს. ამის გამო ქარ-თველებმა ქალაქზე გადამწყვეტი იერიში ვეღარ გაბე-დეს სარდლის სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების შიშით და დაუზავდნენ შაჰ-არმენს.<sup>40</sup>

დ. ნინიძე ფიქრობს, რომ დე ბუას წერილში შეიძლება ასახულიყო დიდი ლაშქრობა ირანში 1210 წელს, როდე-საც ზაქარია ამირსპასალარის მეთაურობით ქართვე-ლებმა მარანდი, თავრიზი, ზენჯანი, ყაზვინი და სხვა ქალაქები და ეპისტოლე შედგენილია 1211 წელს.<sup>41</sup>

---

<sup>39</sup> თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე, ცდა ერთი თარიღის დადგენისა. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურეს სერია №2, 1974. გვ. 168-189.

<sup>40</sup> იქვე. №2. გვ. 377.

<sup>41</sup> დ. ნინიძე, საქართველო-ევროპის დიპლომატიური კონტაქტები XIII ს. I ნახევარში, ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. ნან. I. თბ. 1998. გვ. 398-412.

განსხვავებული მოსაზრებები აქვს გამოთქმული ა. გოგოლაძეს.<sup>42</sup> იგი ფიქრობს, რომ წერილში ლეგენდა-რული იოანე მეფე-ხუცესი (პრესვიტერი) ახლა ლაშა-გიორგის სახითაა წარმოდგენილი: „...სწორედ იოანე მე-ფე-ხუცესის ლეგენდა საფუძვლად დაედო დე ბუას წე-რილის ისტორიას. XIII საუკუნიდან კვლავ გაცოცხლდა ჯვაროსანთა წარმოდგებში თითქმის მივიწყებული მი-თიური მეფის სახე და ლაშა-გიორგის თანხმობამ, მონა-ნილეობა მიეღო ახალ ჯვაროსნულ ლაშქრობებში, ამ თქმულებას ახალი სიცოცხლე შთაბერა“.<sup>43</sup>

მართლაც, ეს ძალიან წააგავს XII ს.-ში შექმნილ მითს იოანე პრესვიტერის შესახებ, მითს რომლითაც შემ-დგომი ორი საუკუნის განმავლობაში სულდგმულობ-დნენ ჯვაროსნები.

„აშკარად ეტყობა ამ ცნობას (დე ბუას ეპისტოლე-თ.კ.) ზღაპრული ელფერის კვალი. მსგავსად იოანეს ლაშქრობისა, რომელმაც იმ დროს უკვე არარსებული ეკბატანა აიღო და ტიგროსს მოადგა, ასევე ლაშა-გიორ-გიმ ევფრატზე მდებარე რომელილაც დიდი ქალაქი აი-ღო. ორივე ეს ლაშქრობა შეიცავს ზოგად ისტორიულ-გეოგრაფიულ ხაზებს“.<sup>44</sup> საყურადღებოა მკვლევარის მიერ გამოთქმული მოსაზრებები ლაშა-გიორგისა და იოანე პრესვიტერის იდენტურობის შესახებ.

....ლეგენდები იოანე პრესვიტერზე განსაკუთრებით ვრცელდებოდა V ჯვაროსნული ლაშქრობის (1217-1221 წნ.) პერიოდში.

<sup>42</sup> ა. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 376. ამ თარიღს ფიქრობს ა. თვარაძეც (1210-1166). იხ. მისი. საქართველო და კავკასია ევრო-პულ წყაროებში. თბ. 2004. გვ. 139-140.

<sup>43</sup> ა. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 381.

<sup>44</sup> იქვე, გვ. 380.

XIII ს.-ში, ჯვაროსანთა წარუმატებელი ლაშქრობების გამო, კვლავ ცოცხლდება ლეგენდა იოანე პრესვიტერის შესახებ. მაგალითად აი რამოდენიმე მათგანიც:

ჰაპი ჰონორიუს III ასე სწერდა საფრანგეთის არქიეპისკოპოსებს: „ოკეანის იქითა მხრიდან კარდინალმა პელაგიუსმა მაცნობა, რომ მეფე დავითი, იოანე ხუცესად წოდებული, კაცი ღმრთისმოშიში, შეიჭრა შეიარაღებული ძალებით სპარსეთში და სპარს სულტანზე გამარჯვების შემდეგ აიღო და დაიპყრო მისი ქვეყანა 24 დღეში. ის იქ დაეუფლა მრავალ ციხე-ქალაქსა და ბანაკს. იქიდან მან ისე სწრაფად წაიწია წინ, რომ (ახლა) მისი ლაშქარი იმყოფება სულ 10 დღის სავალი გზის მოშორებითვით დიდებული და სახელგანთქმული ქალაქი ბალდადიდან, სადაც ბინადრობს უმაღლეს მღვდელთმსახურთაგან სარკინოზად სახელდებული ხალიფა. ასეთი მუქარით ხალაპის სულტანმა, ძმების – დამასკოსა და ბაბილონის სულტანთა სახლისკაცმა, ბრძანა, რომ შემოაბრუნოს ზემოხსენებული მეფის წინააღმდეგ თავისი ჯარი, რომელიც დამიეტაზე ალყაშემორგვემულ ქრისტიანულ არმიას ებრძოდა.

...პელაგიუსმა ავინონში აცნობა: მართლმორწმუნე და კარგად შეიარაღებული ქართველების ქვეყანა გვთხოვს და გვევედრება, რომ მასაც დართონ ნება სარკინოზებთან საბრძოლველად“.<sup>45</sup>

V ჯვაროსნული ლაშქრობისას, 1217 წელს, ჯვაროსნებმა მთავარი დარტყმები მიიტანეს ეგვიპ-ტეზე, კერძოდ დამიეტაზე. სწორედ დამიეტაში შეხვდნენ ერთმანეთს საქართველოს მეფის და ჰაპის ლეგატის კარდი-

---

<sup>45</sup> Рихард Хеннинг, Неведомые земли. Пер. с немецкого А. В. Лисовской. III. Москва. 1962. стр. 29. აგრეთვე იხ. ი. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 45.

ნალ პელაგიუსის ელჩები.<sup>46</sup> როგორც ჩანს, პელაგიუსის მიერ, ჰონორიუს მე-III-სადმი ნაცნობები ამბავი ქართველთა შესახებ, სწორედ ამ შეხვედრის გამოძახილი უნდა ყოფილიყო.

კიდევ ერთი ცნობა ჯვაროსანთა მატიანიდან:

„მთელს ქრისტიანულ სამყაროში დადიოდა ხმები, რომ ინდოეთის მეფე დავითი, იოანე ხუცესად სახელდებული, უახლოვდება დიდი ჯარით (დასავლეთის ქვეყნებს). ამან დაიპყრო სპარსეთი, მედია, სხვა მრავალ სარკინოზთა მიწები და ბალდადის ხალიფა ბალდაკს, სარკინოზთა უმაღლეს ქურუმს, შეუთვალა, რომ მას სურს შეებრძოლოს ხალიფასა და ყველა წარმართს, თუ იგი არ მიიღებს ქრისტიანულ სარწმუნოებას. ხოლო დამიეტის მისადგომებთან მყოფ ლაშქარს და იერუსალიმის მხარეს აღუთქვა დასახმარებლად მისვლა“.<sup>47</sup>

შაკ დე-ვიტრის 1221 წლის წერილში რომის პაპ ჰონორიუს III-სადმი აღნიშნულია, რომ ინდოეთის მეფის – დავითის ჯარები 15 დღის სავალზე იდგნენ ანტიოქიიდან და მოიჩქაროდნენ წმინდა საფლავის გასათავისუფლებლად და წმინდა სამეფოს აღსადგენად.<sup>48</sup>

ასეთივე მოარული ლეგენდაა დე ბუას წერილში მოთხრობილი ამბავიც, რომელიც შეხამებულია მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდის ისტორიულ სიტუაციასთან.

მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობა, რომელსაც ვატიკანი ხანგრძლივი პროპაგანდის შედეგად ამზადებდა და რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ უნგრეთის მეფე ანდრაშ II დიდი ლაშქრით, სამხრეთ გერმანიის თავადე-

<sup>46</sup> ა. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 382.

<sup>47</sup> P. Хенниг, დასახ. ნაშრომი. გვ. 26-29.

<sup>48</sup> ა. გოგოლაძე, იოანე პრესვიტერის ლეგენდის ისტორიული და ბიბლიური საფუძვლების შესახებ. თბ. 2005. გვ. 17.

ბი თავიანთი ვასლებით, ავსტრიის ჰერცოგი ლეოპოლდ VI და პოლანდიელები გრაფი ვილჰელმის მეთაურობით, დიდი მარცხით დამთავრდა.<sup>49</sup> ეს მხედრიონი ევროპიდან დაიძრა 1217 წელს. ახალ მოლაშქრეებს სირიაში ცივად შეხვდნენ: სირიაში მყოფ ფრანკებს არ უნდოდათ ეგვიპტელებთან ბრძოლა, რადგან მათთან კარგი სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ გაბმული და, ბუნებრივია, ხელახალი ომი მათ საქმიანობას ხელს შეუშლიდა. 1218 წლის აპრილში ძლივს შეგროვდნენ ჯვაროსნები აკრაში. ანდრაშ II უნგრელი, რომელიც თითქმის ერთი წელი იცდიდა უსაქმოდ აკრაში, დარწმუნდა, რომ მათი ლაშქრობა უშედეგო იქნებოდა და თავისი ჯვარით ევროპაში გაემგზავრა, ხოლო დანარჩენმა ჯვაროსნებმა ხანგრძლივი პაექრობის შემდეგ გადაწყვიტეს მთავარი იერიში მიეტანათ ეგვიპტეზე, როგორც მუსულმანური სამყაროს მთავარ ციტადელზე. მაშინვე მათ შემოარტყეს ალყა ქალაქ დამიეტას და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, 1219 წლის ნოემბრის დასაწყისში, ქალაქი იერიშით აიღეს და ააოხრეს. მაშინ ჯვაროსნებმა დიდალი ალაფიც იგდეს ხელთ. მაგრამ მათი წარმატება მალე დასრულდა. 1221 წლის ივნისში, როდესაც ისინი გადავიდნენ შეტევაზე მანსურის მიმათულებით, მდ. ნილოსი ადიდა და ქრისტეს მხედართა ბანაკი წყალდიდობამ გაანადგურა. ამ სტიქიის წინააღმდეგ საბრძოლველად მუსლიმები ადრევე იყვნენ მზად და, როგორც კი წყალდიდობა დაიწყო, მათ ჯვაროსნებს უკანდასახევი გზა გადაუჭრეს. ლტოლვილი ქრისტიანები უწესრიგოდ გარბოდნენ დამიეტისაკენ. იმავე წლის სექტემბერში კი ეგვიპტელთა იძულებით, მათ ეს დაპყრობილი ქალაქიც მიატოვეს და ასე მორალურად და ფიზიკურად განად-

---

<sup>49</sup> М. Забров, Крестовые походы. Москва. 1956 г. стр. 212-213.

გურებულმა მეომრებმა ევროპისაკენ მიმავალ ხომალ-დებს მიაშურეს. ამით საბოლოოდ დამთავრდა ჯვარო-სანთა მეხუთე ლაშქრობა.<sup>50</sup>

რომის პაპის მოციქულებმა და ტამპლიერებმა, რო-მელნიც ეგვიპტეში იმყოფებოდნენ და ევროპისაკენ გა-მამხნევებელ წერილებს აგზავნიდნენ, კარგად გრძნობ-დნენ ჯვარონული ომების უსუსურობას; თვით ლაშ-ქრობის მონაწილენიც რწმუნდებოდნენ, რომ უიმედოდ მიისწრაფოდნენ წმინდა ადგილებისაკენ; ამიტომ მო-ლაშქრეთა მორალური სიმტკიცისა და რწმენის ასამალ-ლებლად კათოლიკე მისიონერები ავრცელებდნენ ლე-გენდებს იოანე ხუცესად წოდებულ დავით მეფეზე და, თუ კი მათ რაიმე ისტორიული საფუძველი მიეცემოდათ ახალი გამამხნევებელი ამბების შესათხზველად, არც ამგვარ საქმეზე იღებდნენ ხელს.<sup>51</sup>

ჩვენი აზრით, დე ბუას ეპისტოლე გამოძახილია სწორედ მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს გავრცელებული ლეგენდებისა და დაწერილია იმ წლებში, როდესაც ქალაქ დამიეტაში მყოფი ჯვაროს-ნები წმინდა ადგილებისაკენ სალაშქრო შეტევისათ-ვის ემზადებოდნენ. ამას ხელი შეუწყო ლაშა-გიორ-გის თანხმობამაც მონაწილეობა მიეღო ჯვაროსნულ ლაშქრობებში. ეპისტოლეს აშკარად ეტყობა ზღაპ-რული ელფერის კვალი და იგი ატარებს პროპაგან-დისტულ ხასიათს. მასში განახლებული, ამჯერად რეალური ადამიანის სახითაა წარმოდგენილი ლე-გენდარული იოანე მეფე-ხუცესი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დე ბუას წერილი დაწერილი უნდა იყოს 1219-1220 წლებში.

<sup>50</sup> ი. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 46-47.

<sup>51</sup> იქვე, გვ. 47.

\*\*\*

ახლა, რაც შეეხება ეპისტოლეში აღნიშნულ თამარ მეფის იერუსალიმში გადასვენების საკითხს.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ არ არსებობს ქართული ცნობა, რომელშიც დასახელებული იქნება ფაქტი თამარ მეფის იერუსალიმში გადასვენების შესახებ. ივ. ლოლაშვილი სამართლიანად შენიშნავს, რომ „თამარის უკანასკნელი სიტყვები ცნობილია კარგად. თუ მომაკვდავი მეფე იერუსალიმში დაკრძალვის სურვილს განაცხადებდა, ამას თამარის ერთ-ერთი ისტორიკოსი უეჭველად იტყოდა“.<sup>52</sup> მართლაც, საეჭვოა თამარ მეფის მიერ დატოვებული ანდერძის შესახებ სცოდნოდა სირია-პალესტინის საზღვარზე მყოფ ფრანგ რაინდს და არ სცოდნოდა ქართველი მეფის კარზე მყოფ რომელიმე ისტორიკოსს.

შ. ნუცუბიძე ცდილობდა, რომ ქართულ ისტორიულ წყაროებში ეპოვა თამარის იერუსალიმში წასვლის მისწრაფების შესახებ. მან თითქოს „იპოვა“ კიდეც ქართლის ცხოვრების ციტატა, რომელშიც მოთხოვილია თამარის კარზე არსებული სამღვდელომსახურო წესების შესახებ: „საეკლესიო ლოცვად წესი ლოცვისა და-უკლებლად აღესრულებოდის, ვითარცა ტიბიკონი მოასწავებდა და განწესება პალესტინისადას მონასტრისა მოგვითხოვს, ყოველი სრულიად. დარბაზის კარს მყოფი წირვად ვერვინ დააკლდებოდა: მწუხრი, დილეულ, სამხრი, ვითარცა თქმულ არს“.

ცხადია, აქ არც თამარის სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდზეა ლაპარაკი, არც იერუსალიმის ჯვრის მონასტრში „ლოცვისა და მონანიებისათვის“ სწრაფვაზე

---

<sup>52</sup> ი. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 34.

და არც დე ბუას წერილის მსგავს ლეგენდარულ ანდერძზე. თამარის პირველი ისტორიკოსი აღნიშნავს, თუ სამეფო კარზე საეკლესიო წირვა-ლოცვის წესი როგორ და რის მიხედვით სრულდებოდა. „ასე რომ, დე ბუას წერილის „ანდერძი“ ჰაერზეა გამოკიდებული და მასში ისტორიული სინამდვილის ნატამალიც კი არ მოიპოვება“.<sup>53</sup>

რამდენად რეალურია შესაძლებლობა, რომ ლაშა-გიორგის თამარის ნეშტი გადაესვენებინა იერუსალიმში? როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ლაშა-გიორგიმ რამოდენიმე შეტევითი ოპერაცია განახორციელა ხლათის, არზრუმის კარნუ-ქალაქისა და სხვათა მიმართულებით, მაგრამ მან ვერ შეძლო ბრძოლა ჯვაროსნებთან ერთად წმინდა ქალაქის განთავისუფლებისთვის. ლაშა-გიორგის დიდი სურვილი ჰქონდა იმისა, რომ გაელაშქრა იერუსალიმზე, მაგრამ მან ეს ვერ შეძლო, რადგან სრულიად მოულოდნელად საქართველოს საზღვრებს მონლოლთა ლაშქარი მოადგა. ამას ადასტურებს 1223 წელს რუსუდან მეფის მიერ მიწერილი წერილი რომის პაპ პონორიუს III-ადმი. მასში ვკითხულობთ:

„ჩემი ძმა, ქართველთა მეფე მიიცვალა და მისი სამეფო მე მერგო. ან ვითხოვ თქვენს კურთხევას ჩვენთვის და ყველა ჩვენ ქვეშვრდომ ქრისტიანეთათვის! დამიეტაში მყოფის თქვენის ელჩისაგან მივიღეთ თქვენი დიდებული რჩევა და ბრძანება, რომე ჩემი ძმა, წასულიყო ქრისტიანების შესაწევნებლად. ისიც ამ ზრახვასა და წასვლის მზადებაში იყო, როდესაც ბოროტნი თათარნი შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში... დიდი უბედურება მიაყენეს ჩვენს ერსა და დაგვიხოცეს ექვსი ათასი კაცი. ჩვენ მათ არ ვუფრთხილდებოდით, რადგან ქრისტიანები

<sup>53</sup> ი. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 35.

გვეგონა, მაგრამ როდესაც ვსცანით, რომ კარგი ქრისტიანები არ იყვნენ, მაშინ შევკრიბეთ ყოველი ჩვენი ძალა და წინ აღვუდექით; ოცდახუთი ათასი კაცი გავუწყვიტეთ, ბევრიც დავატყვევეთ და დანარჩენი მათი მხედრობა ჩვენის ქეყნიდან გავდევნეთ. აი, ამის გამო აქ დავრჩით და თქვენის ელჩის ბრძანებისამებრ ვერ წამოვედით“.<sup>54</sup>

ამასვე წერს რომის პაპს ივანე ათაბაგი:

„გაუწყებთ, რომ ჩემი ბატონი მეფე მიიცვალა და მის ადგილს თქვენის ლოცვა-კურთხევის მადლითა და ძალით სხვა ავირჩიეთ მეფედ. თქვენმა წმინდა მართლბრძანებამ, რომელიც დამიეტაში მყოფის ელჩის მიერ წარმოგვივლინეთ, მოაწია მეფემდე და ჩემამდე. ხოლო, როცა ჩვენ დიდის ძალით მოვამზადეთ ჯარი, ცხენოსნები, სურსათი და ვაპირებდით წასვლას ქრისტიანების შესაწევნელად და წმინდა ადგილების დასახსნელად, ამ დროს თათარნი, ჯვრით წინამძღვრბულნი, შემოვიდენ ჩვენს ქვეყანაში, ქრისტიანობის მოჩვენებით მოგვატყუეს და ექვსიათასამდე კაცი გაგვიწყვიტეს. ხოლო შემდგომ რა ვსცანით, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანები არ იყვნენ,... 25 ათასი ცხენოსანი გავუწყვიტეთ, ზოგნიც დავატყვევეთ და დანარჩენიც ჩვენის საზღვრებიდან გავდევნეთ. ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ ვერ შევასრულეთ თქვენი ბრძანება, თქვენის ელჩის მიერ გამოცხადებული“.<sup>55</sup>

ეს ეპისტოლები აშკარად მეტყველებენ, რომ ლაშაგიორგის განუზრახავს დახმარებოდა ჯვაროსნებს „წმინდა ადგილების დასახსნელად“ მუსულმანთაგან. ამ

<sup>54</sup> მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. თბ. 1902. გვ. 7.

<sup>55</sup> იქვე. გვ. 9.

მიზნით მას დაურაზმავს მხედრობაც, ლაშქრობისათვის საჭირო სურსათიც მოუმარავებია, პალესტინაში მყოფ ჯვაროსანთა შორის კი დარხეულა ხმა, რომ „გეორგიანებად წოდებული იბერიელი ქრისტიანები“ აღდგნენ და ჭაბუკი მეფის მეთაურობით მიღიან იერუსალიმისკენ სალაშქროდო, მაგრამ მონგოლების მოულოდნელ შემოსევას ლაშა-გიორგისათვის განზრახვაზე ხელი აუღებინებია, ხოლო ჯვაროსნებს დიდი იმედები გასცრუებიათ, რაკი საჭიო გამხდარა რუსუდან მეფეს და ივანე ათაბაგს ეცნობებინათ რომის პაპისათვის მისი ბრძანების შეუსრულებლობის მიზეზი. ი. ლოლაშვილი ფიქრობს, რომ „ასეთ ვითარებაში თქმა იმისა, თითქოს ქართველთა ლაშქარმა ლაშა-გიორგის წინამძღვოლობით თამარის ნეშტი უხითათოდ მიასვენა და დაკრძალა იგი ქართველთა მონასტერში (თუ მაცხოვრის საფლავის ტაძარში), არა მარტო თვითნებური და ლიტონი განცხადებაა, არამედ იგი მოასწავებს ზემოხსენებულ ეპისტოლეთა გაუთვალისწინებლობას“.<sup>56</sup>

თუ სარწმუნოა ფრანგი რაინდის ცნობა, თითქოს თექვსმეტი წლის ლაშა-გიორგიმ საფლავიდან ამოიღო დედამისის ძვლები იერუსალიმში, ქრისტეს საფლავთან დასაკრძალავად, როგორ მოხდა, რომ თამარის ისტორიკოსებს ან უამთააღმწერელს და გვიანი ხანის ავტორებს, რომელთაც დაგვიტოვეს ცნობები თამარის გარდაცვალებისა და დაკრძალვის შესახებ, ერთი სიტყვაც კი არ წამოსცდათ ამ მნიშვნელოვანი ამბების შესახებ? თუ ეს გადასცენება ნამდვილად მოხდა, უპირველესად ამ ფაქტს აღნიშნავდნენ თამარის პირველი და მეორე ისტორიკოსები, რომელნიც თავიანთ თხზულებებს წერდნენ თამარის სავარაუდო გადასვენების შემდეგ

<sup>56</sup> ი. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 37.

ახლო ხანაში, ხოლო თუ ლაშა-გიორგი ქართველთა ლაშქრით იერუსალიმში ჩავიდა დედის ანდერძის შესას-რულებლად, ამას კი უეჭველად იტყოდა ჯერ ლაშას-დროინდელი მემატიანე, შემდეგ კი უამთააღმწერელი, რომელთაც აღნერეს ლაშა-გიორგის ცხოვრება და მოღვაწეობა, მაგრამ როგორც ცნობილია, ეს ისტორი-კოსები თამარის ნეშტის გადასვენებისა და ლაშა-გიორ-გის იერუსალიმში ჩასვლის შესახებ არაფერს არ ამბო-ბენ, იმიტომ, რომ თამარი დაკრძალეს გელათში და იქიდან არავის არ გადაუსვენებია იერუსალიმში.

....აქვე აუცილებლად უნდა განვიხილოთ ლ. ტუხაშ-ვილის მიერ მოყვანილი ცნობა, რომელიც გამოუგზავ-ნია იკონის სულტანს (?) საქართველოს მეფისათვის: „პასუხი მეფე დავითს, აფხაზის პატრონს“<sup>57</sup>. მასში ნათ-ქვამია: „მოწყალებანი, რომლითაც უბინების საფარ-ველის, თვალსასაწიერთა დედოფალთ დედოფლის მიმო-ნერის თაობაზე განმარტება მოგვეცა, ეჭვი არ არის, მოთხოვნა იმ უბინოს სისპეტაკისა იმაზე მეტია, რითაც მეფური უზენაესობითა და ხელმწიფური დიდებულე-ბით მონებს შეიძლებოდა ჩვენებოდა; და პატიოსანი წარმოშობით, ვრცელი გონებით, მტკიცე რჯულითა და პირისგათავებით ის პატრონი, უბინების საფარველი, უცნობი არ არის, რადგან ის გვარი ჩინებული თვისები-თა და ლირსეული წარმატებებით ცნობილია. ღმერთმა (იდიდოს სახელი მისი!) ჩვენ, მონებს, იმ უბინების სა-ფარველის ხელმწიფურ საქმიანობათა საზღაურად მას-ზე ლოცვის დროს შემწეობა უხვად მოგვანიჭოს და ზაკ-ვათა უბედურობათაგან დაგვიფაროს, რათა რაც დღე გავა, (ჩვენ,) მონობაში მყოფთ; წერილი მეტი ვიკითხოთ

<sup>57</sup> მეფე დავითში იგულისხმება ლაშა-გიორგი. ლ. ტუხაშვილი ფიქ-რობს, რომ სახელი განგებ არის შეცვლილი, რადგან ბარათი კონ-ფიდენციალურია.

და ჩვენდა სასიკეთოდ, ყოველ წუთს პატივითა და მონინებით დავიცვათ, რადგანაც სამსახური მისი უდიდესი შენოვნებისა და დიდებული აკვანისა რუმის კლიმატის ხალხებისგან (ალაპიმც აცოცხლებს დიდხანს მათ სულთნებს!) გარდაუვალია და აუცილებელი.

მითითება, რომელიც გორჯესთანის მეფეებთან (ჩვენს) თხოვნათა გამო იყო ნაბრძანები, მეფური წყალობისა და ხელმწიფური დარიგების მომხიბლაობისაგან დაშორებული არ ყოფილა. პასუხად ჩვენგან ქება, ხოგბა, შესხმა და ლოცვა-კურთხევა იმ საიდუმლოების დაცვით მიიღეთ. შემდეგში მიმოწერათა შარა, გზავნილებათა სავალი და თხოვნათა გზა გაკაფული ჰქონიათ და (ურთიერთობის) განახლებისა და განხორციელების საქმე დროების შესაბამისად და ამ ძველ გვართან ნიადაგი კავშირის ხარისხი გამოჩენილი (აშკარა) ყოფილა მამა-პაპისაგან და ნინაპართაგან და ანდერძით განსხვავებული დედოფლისა (ალაპიმც შემოსავს მას მიტევებით!). უმაღლესი საკრებულოს ეს გვარი ნინაპართა კვალზე, იმ გვარის რჩევების საზღაურად აქვს (მიუზღავს უფალი არა მდაბალთ), ანიც მიმოწერისა და კავშირის გზა გახსნილათ იგულეთ, ვინძლოთ ახალ-ახალი საქმენი გვაუწყოთ და საჭიროებისამებრ წერილის მიმოწერა არ დაგვიძვიროთ, რათა მის შესრულებას მაშინვე შევუდგეთ, მაღალმა უფალმამც ინებოს!“<sup>58</sup>

ამ საკმაოდ ბურუსიანი ბარათიდან აშკარად იკვეთება ერთი რამ, მეფეთა-მეფე თამარს დაუტოვებია რაღაც ანდერძი. რუმის ქვეყანა (იკონია) მზად არის დაეხმაროს ამ ანდერძის შემსრულებელს. ბართში თითქოს ორი ქალია მოხსენებული. ერთი ცხადად განსვენე-

<sup>58</sup> ლ. ტუხაშვილი, ნარკვევები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან. ნ. 1. თბ. 1994. გვ. 227-228; მ. თოდუა, ქართულ-სპარსული ეტიუდები. ტ. III. თბ. 1979. გვ. 5-6.

ბულად არის მოხსენებული. მეორე კონტექსტით ზუსტად არ ჩანს, ვინ არის. თითქოს ეს ცოცხალი უფლისნულია, რადგან მის სამსახურისთვის რუმის ქვეყანა (ე.ი. იკონია) მზად არის. ლ. ტუხაშვილის აზრით, შესაძლებელია საუბარი ყოფილიყო თამარის ნეშტის გადასვენებაზე (ე.ი. მისი ნეშტის სელჩუკიანთა მიწაზე გატარებაზე). ჩვენ ვიზიარებთ მ. თოდუას აზრს, რომელიც ფიქრობდა, რომ წერილში საქმე ეხება მეფე თამარის ქალიშვილის გათხოვებას სელჩუკიანთა რომელიდაც უფლისნულზე. ან ჩვენი აზრით შესაძლოა აქ რაიმე ფარულ პოლიტიკურ გარიგებაზე იყოს საუბარი. ყოველ შემთხვევაში ეს წერილი თამარის გადასვენების ფაქტთან მიმართებაში არ გამოგვადგება....

## თამარ მეფის ეკვდერი გელათში

აუკუნეთა განმავლობაში თაობიდან თაობაზე გარდამავალ ცნობას, თამარის საფლავის გელათში არსებობის შესახებ, ადასტურებენ ძველქართული წერილობითი წყაროები და გელათის სამონასტრო ტადიცია.

გელათი რამდენიმე ნაგებობის ანსამბლია და, რაკი თამარის სამარხი საისტორიო წყაროებში სახელდებით არ არის აღნიშნული, ამიტომ მისი პოვნა დიდად ჭირს. ფარსადან გორგიჯანიძე და ვახუშტი ბაგრატიონი ამბობენ, რომ თამარი დაფლულია ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის ეკლესიაშით. ეს ტაძარი არის მთავარი არქიტექტურული ნაგებობა, რომელიც გელათის ცენტრშია აღმართული და ქართული ხუროთმოძღვრების უბრნყინვალეს ნიმუშს წარმოადგენს. ვახუშტის თქმით, ამ ტაძარში თამარის გარდა დაკრძალული ყოფილან დავით აღმაშენებელი (უნდა აღინიშნოს, რომ დღეს გელათში შემორჩენილი გვაქვს მხოლოდ დავით აღმაშენებლის საფლავის ქვა, რომელშიც ადამიანის არსებობის რაიმე კვალი, არქეოლოგიური გათხრის შედეგად არ აღმოჩნდა<sup>59</sup>), გიორგი III, ლაშა-გიორგი, რუსუდანი, ულუ-დავითი და ნარინ-დავითი, მაგრამ დღეს-დღეისობით იქ არც ერთი ბაგრატიონი მეფის საფლავი არ ჩანს. ეს აიხსნება სხვადასხვა მიზეზით. გელათი ორგზის ააოხრეს და დაწვეს გარეშე მტრებმა.<sup>60</sup>

როგორც წერილობითი წყაროებიდან ირკვევა XVI საუკუნის 20-იან წლებში იმერთა მეფე ბაგრატს, დასავ-

<sup>59</sup> ქ. გრიგოლია, თამარ მეფის საფლავის საიდუმლოება. „ცისკარი“, 1966 წ. №9. გვ. 98.

<sup>60</sup> ი. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 49.

ლეთ საქართველოს კათალიკოს ევდემონ ჩხეტიძესა და გენათელ ეპისკოპოსს მელქიზედეკ საყვარელიძეს დიდი სააღმშენებლო სამუშაოები ჩაუტარდიათ.<sup>61</sup>

მასალების უქონლობის გამო არ ირკვევა, რა ბედი ეწიათ ბაგრატიონთა სამარხებს გელათის დაწვის ან აღდგენის დროს. ის კი ცხადია, რომ იმერთა მეფეებმა და სასულიერო მოღვაწეებმა ეს დიდი ისტორიული ნაგებობა თავიანთ საძვალედ აქციეს.

1519 წლის გელათურ გუჯარში აღნიშნულია, რომ ხსენებულ ბაგრატს წმ. გიორგის ეკლესია, დანგრეული და გაპარტახებული, აუშენებია, მოუხატვინებია და საჭირო ინვენტარითაც შეუმკვია. იგი წერს: „აწ მრავლოთა გულისმოდგი-ნებითა ბელსვყავით საყდრისა და მონასტრისა წმიდისა გიორგის მეორედ აღშენებათ. და ოდესმე სადედოფლო ყოფილიყო და აწ ჩუენ სამარხად და საძუალედ შევქმენით“.

XVIII საუკუნეში დიდი ტაძრის დასავლეთით მიშენებული ეკვდერი თავის ოჯახისთვის მოაწყო ალექსანდრე მესამემ. იქ დაკრძალული არიან თვით ალექსანდრე და მისი მეუღლე, კახთა მეფე თეიმურაზ პირველის ქალიშვილი დარეჯანი.

XVIII საუკუნეში იმერთა მეფემ გიორგიმ (1703-1720წწ.) აღადგინა ღვთისმშობლის ეკლესიის მაცხოვრის ეკვდერი, რომელიც იმ ხანად უკვე გაუქმებული იყო;

1730 წელს ალექსანდრე მეფემ იმავე ეკლესიის სამხრეთით მდებარე ეკვდერი განაახლა და შიგ თავისი მეუღლე დამარხა.

---

<sup>61</sup> ბ. ლომინაძე, გელათი. თბ. 1955. გვ. 21-26; ი. ლოლაშვილი. დასახ. ნაშრომი. გვ. 50.

XVIII-XIX საუკუნეებში გელათის მთავარი ტაძრის შიდა ნაწილიც მოიფინა სასულიერო და საერო პირთა საფლავებით.<sup>62</sup>

1757-58 წწ. გელათი ლეკებს გადაუწვიათ. რომელიც XIX საუკუნის დასაწყისში კელავ აღდგენილია.<sup>63</sup>

ცნობა, გელათში თამარის სამარხის (ზუსტი) ადგილ-მდებარეობის შესახებ ჩნდება XIX საუკუნის 40-იან წლებში. უთითებენ მთავარი ტაძრის სამხრეთ-აღმო-სავლეთის მინაშენს, რომელიც „თამარ მეფის ეკვდე-რის“ სახელითაა ცნობილი.<sup>64</sup> იმერეთის მიტროპოლიტს დავით წერეთელს რუსი მოგზაურის ანდრია მურავიო-ვისთვის, გელათში ყოფნის დროს, უთქვამს, რომ „სო-ლომონ პირველის მამის ალექსანდრე გიორგის ძის დრომდე ყოველწლიურად თამარის ხსენების დღეს ამ ეკვდერში თამარის საფლავის ქვას ახდიდნენ და პანაშ-ვიდს იხდიდნენ“.<sup>65</sup> ეს წესი შეწყვეტილა 1730 წლიდან, როდესაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალექსანდრე იმერთა მეფემ (1721-1752წ.).) ამ ეკვდერში დაასაფლავა თავისი მეუღლე მარიამ ბეჟანის ასული დადიანი. ჩვენამდე მოღწეულია ერთი გელათური სიგელი, რომელ-შიც მოთხრობილია, თუ ალექსანდრე მეფემ როგორ მი-ითვისა სხვისი ეკვდერი, განაახლა და აკურთხა სხვა სახელწოდებით.<sup>66</sup> სიგელში ვკითხულობთ:

„..... ესრეთ განმაძლიერა უფალმან ჩემმან, ხოლო მე არა დავადგერ სჯულსა სამეუფოსა და მრავალთაებრ ბრალთა ჩემთ თვის საცთურიანმა სოფელმა წარმილო ჩემისა თვალიცა ნათელ მეუღლე ჩემი დადიანის ბეჟა-

<sup>62</sup> ი. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 50.

<sup>63</sup> იქვე. გვ. 50.

<sup>64</sup> იქვე. გვ. 51.

<sup>65</sup> ბ. ლომინაძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 45.

<sup>66</sup> ი. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 51.

ნის ასული დედოფალთ დედოფალი მარიამ. მას ჟამსა შეედვა ვაებავ სამეფოსა ჩემსა. ვინაითგან დაუდგრო-  
მელმან წარმდინარემან სოფელმან ესრეთ განაგო, წარ-  
ვიღე ცხედარი სასურველისა ჩემისა მეფეთა სასაფლა-  
ოსა გელათს. ხოლო საძვალენი მეფეთანი აღვისლიყუ-  
ნეს მრავლითა შენირულობითა შიგან ეგუტრისი და  
ერთ გლეხითა და სოფლებითა გაწყობითა არა რაი აკ-  
ლდათ. ამისთვის ცალკედ ვინებეთ მიღება მიცვალებუ-  
ლისა ჩემისა, რამეთუ მენება საყვარელისა ჩემისა ეგუ-  
ტერის პატიოსნება რაოდენ ძალ მედვა. **იყვნეს მუნ გე-**  
**ლათისა კერძო მარჯუნით ეკუტერი დავიწყებული,**  
ჟამთა ვითარებისაგან არა ვინ უწყოდა თუ ვისი საძ-  
ვალე ყოფილიყო ანუ სახელსა ზედა წმიდისა შენება  
საყდრისა. ქელ ვყავთ გაშენებად და შემკობად მისა,  
წილი ვიგდეთ სახელსა ზედან ღ' ისსა და წ'თა მისთა  
ზედა თუ რისა არს და აღმოვუდა სახელი სიმჭიდისა მო-  
სახელესა ანდრია პირველგამორჩეულისა და ფრიად  
მთნდა ესე და მოვიმოწმეთ აფხაზეთისა კ'ზი გრიგოლი  
და სხვანი მიტროპოლიტი და ეპისკოპოსნი და აღვაგე-  
ბინე საკურთხეველი სახელსა ზედა ანდრია მოციქული-  
სათა დამყარებითა ქელთა მათთა და მუნ მივიღეთ დე-  
დოფალი კურთხეული მეუღლე ჩემი საუკუნოდ მოსახ-  
სენებლად<sup>67</sup>.

ამ დოკუმენტის მიხედვით გამოდის, თითქოს 1730  
წლისათვის თამარ მეფის ეკვდერი ძველთაგანვე ყოფი-  
ლა დავიწყებული. მაგრამ ეს ნამდვილად ასე იყო? არაა  
გამორიცხოლი, რომ შესაძლებელია ალექსანდრე მეფემ  
„კიდევაც გაძარცვა თამარის საფლავი, რადგანაც ასეთ  
საქმეებში იგი დახელოვნებული იყო. მან საჯაროდ გა-

---

<sup>67</sup> ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. ტ. I.  
თბ. 1921. გვ. 120.

ძარცვა გელათის ღვთისმშობლის ხახულის ხატი სრულებით არაა გასკვირი, რომ იგი, თუ რამეს იპოვიდა თამარის ეკვდერში, ადვილად მიითვისებდა მას“.<sup>68</sup> „სადაც მეფემ იკადრა ძველქართული უნიკალური ძეგლის ხელყოფა, არაა გასაკვირი, რომ მასვე მიეთვისებინა სხვისი ეკვდერი, მასში დაესაფლავებინა თავისი მეუღლე მარიამ დადიანი, ხოლო შეექმნა ყალბი დოკუმენტი, თითქოს ეს ეკვდერი „ძველთაგანვე დავიწყებული“ იყო“. <sup>69</sup> როგორც ჩანს, ალექსანდრე მეფის სიგელი შეიცავს ტყუილ ცნობას იმასთან დაკავშირებით, რომ 1730 წლამდე ეს ეკვდერი დავიწყებული ყოფილა. რადგანაც ამ ეკვდერში 1730 წლამდე ყოველწლიურად ახდიდნენ თამარის საფლავის ქვას და პანაშვიდს იხდიდნენ. ეს ტრადიცია შეწყდა მხოლოდ იმის გამო, რომ ალექსანდრე მეფემ მიითვისა ბაგრატიონთა გვარის საძვალე!

<sup>68</sup> ი. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 52.

<sup>69</sup> იქვე, გვ. 52-53.

\*\*\*

გარდა ზემოთმოყვანილი ცნობებისა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1919 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა ანარ-მოა არქეოლოგიური გათხრები გელათის ტაძრის „თა-მარ მეფის ეკვდერში“.

ეკვდერი, როგორც ჩანს, XIII საუკუნის ნაგებობაა, მიშენებულია სამხრეთ-აღმოსავლეთი მხრიდან მთა-ვარ ტაძარზე და მისი ფრესკები ორგზის არის მოხატული. ე. თაყაიშვილი წერს: „აშკარად ეტყობა ორი წყება ფრესკებისა: ერთი უფრო ძველი, მეორე უფრო ახალი, ზედ ძველზედ დახატული“... იმ ფრესკაც, რომელსაც თამარის ფრესკად მიიჩნევენ აქვს წარწერა „მეფეთა-მეფე“ (სახელი ჩამორცხილია). ეს პირი დახატულია ანაფასში მთელი ტანით, გვირგვინით და სამეფო ჩაც-მულობით, მთავარი ტაძრისა და ეკვდერის მომიჯნავე კედელზე იმ საფლავის მაღლა, სადაც თამარს გულის-ხმობენ დაკრძალულად. როგორც ჩანს, მინაშენის სახუ-რავსა და მთავარი ტაძრის კედელს შორის წვიმის წყა-ლი ჩაპარულა და ეს ფრესკა წყალს იმდენად დაუზიანე-ბია, რომ ახლა სადაც არის ქცეული – ვინ არის იქ გა-მოსახული: მეფე-ქალი თუ მეფე-კაცი? ი. ლოლაშვილის აზრით, ამ პორტრეტის ფრაგმენტები წარმოაჩენენ მე-ფე-ქალის ფიგურას, რომელიც ძლიერა ჰგავს თამარის ცნობილ ფრესკებს. „მეფე დახატულია მთელი ტანით, რომელსაც ჰელიონის კოჭებამდე ჩამოგრძელებული კა-ბა, და მის დაბლა მოჩანს პატარა, ქალის ფეხები. ხელე-ბი მარცხნივ ჰელიონის გაშვერილი სავედრებლად. შარა-ვანდედში ჩახატული გვირგვინი კი, რომელიც ამ მე-ფეთ-მეფეს ადგას თავს, აშკარად ემსგავსება მეფე ქა-ლის გვირგვინს.“ ჩვენ ვეთანხმბით ი. ლოლაშვილის

აზრს, რომელიც ფიქრობს, რომ ეს არის თამარ მეფის პორტრეტი.<sup>70</sup>

გარდა თამარ მეფისა ამ ეკვდერში კიდევ დახატული არიან დავით-ნარინი (ბერის ტანისამოსით), დავით-ნარინი (საერო ტანისამოსით) და მისი შვილი ვახტანგ მეფე. ეს მხატვრობა კი იმას ადასტურებს, რომ გელათის ღვთისმშობლის ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთს მინაშენი არის თამაის, მისი შვილებისა და შვილიშვილების საძვალე. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ იმერთა მეფეებისთვის კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი, რაკი 1730 წლამდე ხსენებული ეკვდერი არავის დაუკავებია. ასე რომ ალექსანდრე იმერთა მეფის განცხადება, თითქოს ეს ეკვდერი 1730 წლამდე „ძველთაგანვე დავიწყებული“ იყო სიმართლეს არ უნდა შეესაბამებოდეს. ამ ეკვდერში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სანამ ალექსანდრე მეფე მას მიითვისებდა ყოველწლიურად თამარის საფლავთან იხდიდნენ პანაშვიდს. თუ ეს საძვალე ამ დრომდე „დავიწყებული“ იქნებოდა მაშინ მას თავისუფლად დაიკავებდნენ სხვა მეფეები, მაგრამ მათ ეს არ იკადრეს, რადგანაც კარგად მოეხსენებოდათ, რომ ეს ბაგრატიონთა გვარის საძვალე იყო.<sup>71</sup>

...ამ არქეოლოგიური გათხრების შედეგად გაიხსნა არა თამარის საფლავი, არამედ სხვა სამარხი, რომელსაც ე. თაყაიშვილმა უწოდა „საოჯახო საფლავი“, მასში დაკრძალული ყოფლა ოთხი მიცვალებული. ვარცლისებრ კუბოში აღმოჩნდა დაბალი ქალის ჩონჩხი, რომელსაც თავზე გადაფარებული ჰქონია უბრალო ქსოვილი; იქვე კუბოს ქვეშ და გვერდებზე არეულად – ახალ-

<sup>70</sup> ი. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 61-62.

<sup>71</sup> იქვე, გვ. 63.

გაზრდა მამაკაცის ძვლები, ორი თავის ქალა ახალგაზრდებისა. ერთიც – ბავშვისა.

აღმოჩენილი ქალის ნეშტი, როგორც ჩანს, არის ალექსანდრე მეფის მეუღლე დარეჯანი. ერთი თავის ქალა, ი. ლოლაშვილის აზრით, უნდა ეკუთვნოდეს დავით-ნარინის შვილს ვახტანგს. ხოლო დანარჩენი ორი მიცვალებულის ვინაობა უცნობია.<sup>72</sup>

ამ არქეოლოგიური გათხრის შედეგად იმ საფლავში რომელიც ე. თაყაიშვილმა გათხარა, თამარ მეფის ნეშტი არ აღმოჩნდა. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ „თამარ მეფის ეკვდერში“ ორი საფლავის ქვაა: ერთი დევს იატაკის გასწვრივ ჩრდილო-დასავლეთის კედლებთან (მის ქვეშ დაფლული არიან ვახტანგ დავითის ძე და მარიამ დადიანი, კიდევ ორი უცნობი მიცვალებული), ხოლო მეორე – სამხრეთ-დასავლეთის კედლებთან და იატაკიდან ოდნავ ამაღლებულია. ე. თაყაიშვილმა გახსნა პირველი სამარხი, მეორესთვის ხელი არ უხლია.<sup>73</sup> ი. ლოლაშვილის აზრით, თამარ მეფე სწორედ ამ სამარხში უნდა იყოს დაკრძალული. ჩვენ არ გამოვრიცხავთ ამ ფაქტს, რომ შესაძლებელია გაერთიანებული საქართველოს მეფების: დავით აღმაშენებლის, დემეტრე პირველის, გიორგი III-ის, თამარის, დავით სოსლანის, ლაშა-გიორგისა და რუსუდანის გვამები მართლაც გელათში იყვნენ დაკრძალულნი, რასაც ადასტურებს თუნდაც გელათის სამონასტრო ტრადიცია. მაგრამ ჩვენ არ გამოვრიცხავთ არც იმ ფაქტს, რომ შესაძლებელია თამარ მეფის ნეშტი, მისი წმინდანად შერაცხვის შემდეგ, ჩვეულებისამებრ გადაესვენებინათ გელათშივე, საკურთხეველთან ახლოს.

---

<sup>72</sup> ი. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 65-66.

<sup>73</sup> იქვე, გვ. 68.

## პოლონება

ჩვენ, წყაროების გამოკვლევითა და შედარებითი ანალიზის საფუძველზე ვფიქრობთ, რომ თამარ მეფე გარდაიცვალა 1215 წლის 27 იანვარს, აგარათა ციხეში, დაკრძალეს გელათის დიდებულ მონასტერში. მიუხედავად ამისა თამარ მეფის გარდაცვალება და მისი საფლავის ადგილ-სამყოფელის დადგენა მრავალმხრივ საჭიროებს გამოკვლევას მეცნიერთა მიერ და მოხარული ვიქნებით თუ აქედან რომელიმე თვალსაზრისი მაინც გამოდგება სამეცნიერო მსჯელობის საგნად.

Темур Кенкебашвили

## Кончина и захоронение Царицы Тамар

В грузинской историографии одной из проблемой является кончина Царицы Тамари, и местонахождении ее могили. Несмотря на то, что многие грузинские источники дают сведения о Царице Тамаре, этот вопрос остается открытым. Это осложняется и тем, что дата и место кончины разные исторические источники и ученые называют разные даты. Например 1207, 1210, 1212, 1213 годы. На основании наших источников и сравнительного анализа мы думаем что Царица Тамара скончилась 27 января 1215 года. Это мнение впервыезвучено грузинским ученым Корнели Кекелидзе. Что касается местом кончины, грузинские источники называют Агара, которая сегодня называется Коджорская крепость. В одном из произведений историка Царицы Тамари "История и восхваление венценосцев", написано, что Царица Тамара скончилась "хмелса дгомаса шина". Значение слово "хмели" ученые дают разное объяснение. Мы думаем, что слово "хмели" укароченная форма географического места "Таба-хмела". Какраз Агара (Коджорская) крепость находится в Табахмела-Коджори. А местом захоронения исторические источники называют Великолепный Гелатский Монастир. Но существует эпистоле французского рыцаря крестоносца Де Буа. В

котором мы читаем, что Царевич Лаша-Георгий переносит прах матери в Иерусалим на захоронение. Мы в первую очередь косаемся даты эпистоле. На это эпистоле ученые тоже имеют разное мнение. Мы эпистоле датируем 1219-1220 г, Т.к, эпистоле приближено пятого крестового похода, кроме этого мы соглашаемся с историком Андро Гоголадзе, что в данном эпистоле названный Лаша-Георгий представлен легендарный Иоан Пресветере. Факт переноса праха Царицы Тамари в Иерусалим мы абсолютно исключаем. Мы считаем, что прах Царицы Тамари сегодня находится на территории грузии. Кончинча Царицы Тамари и местонахождение ее захоронении требует всестороннего исследования со старон ученых. Мы будем рады если, одно из наших версии станет обектом дискуссии.

Temur Kenkebashvili

## The death and burial of The King Tamar

In Georgian historiography the death, burial and grave location of the great Georgian Queen Tamar (The King Tamar-as she is called in Georgian history) is considered still problematic. In spite of the fact that several historical sources provide us with the information about her reign, this question is still unspecified. Besides, it is complicated, because different scientists name different dates of her passing away and location of her grave. For example: 1207, 1210, 1212, 1213 years. We, according on investigations and analyzing of different sources think that Queen Tamar passed away on the 27-th of January in 1215. This consideration was firstly announced by Georgian scientist Korneli Kekelidze, and when speaking about the location of her grave, Georgian narrative sources name The Agarata castle, which nowadays is called Kojori castle, but in one of the works of Tamar's historian named " Histories and Praises of Crowned Monarchs" is written following words that king Tamar passed away "Khmelsa dgomasa shina"...which means -"Being on a dry place"....The meaning of the word "khmeli (dry)" is discussed in different ways by different scientists. We think that the word "khmeli"- (dry) is shorten form of the geographical place name "Taba-Khmela". The Agarata (Kojori) castle is located exactly near "Kojori-Taba khmela" region.....And as a burial place historical sourses name The Gelati Monastery.

Besides there exists the Epistle of French knight crusader De Bua, where we can read that Lasha-Giorgi, (the

king), takes his mother's plural remains to Jerusalem to bury. We first of all point the epistle date. The scientists still have the different opinions about this. We date the Epistle of 1219-1220 years, and this Epistle is close to historical situation of the fifth crusade war. Besides this, we agree with historian Andro Gogoladze that in character of Lasha-Giorgi who is named in this Epistle, is shown legendary Joanne Presbyter. And if we spoke about taking the plural remains of Queen Tamar to Jerusalem, we exclude that fact, and we think that the remains of Queen Tamar is still somewhere in Georgia. Nevertheless the question of death of the Great King Tamar and define the location of her grave is still under consideration and needs the scientific investigation and we'd be glad if any point of views given above is helpful to scientists.

## გამოყენებული ცყაროები და ლიტერატურა

### ცყაროები

1. Всеобщая История Вардана Великаго, Перевель Н. Эминъ. Москва. 1861 г.
2. თ. უორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. ტფ. 1892 წ.
3. ზ. ჭიჭინაძე, ქართლის ცხოვრება. დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნეებდე. ნ. II. ტ. I. თფ. 1898 წ.
4. ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ნუსხა. ე. თაყაიშვილის რედ. თბ. 1906წ.
5. ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. ტ. I. თბ. 1921 წ.
6. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, კ. კეკელიძის რედ. თბ. 1941 წ.
7. ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა. ს. ყაუხჩიშვილის რედ. თბ. 1942 წ.
8. ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი. ივ. ჯავახიშვილის რედ. თბ. 1944 წ.
9. ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959 წ.
10. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. დადგენილი

გარდაცვალება და დაჯრძნალვა თამარ მეფისა  
ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხ-  
ჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973 წ.

## ლიტერატურა

11. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქარ-  
თველთა შორის. ნამდვილის საბუთების შემოტა-  
ნითა და განმარტებით XIII საუკუნიდგან ვიდრე  
XX საუკუნემდე. თბ. 1902 წ.
12. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. ტ. II.  
თბ. 1931 წ.
13. ნ. ბერძენიშვილი, ძველი თბილისის ტოპონიმიკი-  
დან. ჟურნ. „მიმომხილველი“. 1951 წ. №2.
14. ბ. ლომინაძე, გელათი. თბ. 1955 წ.
15. М. Забров, Крестовые походы. Москва. 1956 г.
16. Рихард Хенниг, Неведомые земли. Пер. с  
немецкого А. В. Лисовской. III. Москва. 1962 г.
17. კ. გრიგოლია, თამარ მეფის საფლავის საიდუმ-  
ლოება. „ცისკარი“, 1966 წ. №9.
18. ვ. ჩაჩანიძე, პეტრე იბერიელი და ქართული მო-  
ნასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმ-  
ში. თბ. 1974 წ.
19. თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე. ცდა ერთი თარი-  
ლის დადგენისა. „მაცნე“, ენისა და ლიტერატუ-  
რეს სერია, 1974 წ, №1-2.
20. მ. თოდუა, ქართულ-სპარსული ეტიუდები. ტ.III.  
თბ. 1979 წ.
21. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის სა-  
კითხები. ტ. VIII. თბ. 1979 წ.

22. ი. შაიშმელაშვილი, ჩაუქრობელი დიდების ქალა-ქი. თბ. 1987 წ.
23. ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან. თბ. 1989 წ.
24. ი. ლოლაშვილი, თამარ მეფის აკლდამა გელათში. თბ. 1989 წ.
25. რ. მეტრეველი, მეფე თამარი. თბ. 1991.
26. ლ. ტუხაშვილი, ნარკვევები ქართული დიპლომა-ტიის ისტორიიდან. ნ. I. თბ. 1994 წ.
27. დ. ნინიძე, საქართველო-ევროპის დიპლომა-ტიუ-რი კონტაქტები XIII ს. I ნახევარში, ქართული დიპლომატიის ისტო-რიის ნარკვევები. ნაწ. I. თბ. 1998 წ.
28. ა. თვარაძე, საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში. თბ. 2004 წ.
29. ა. გოგოლაძე, იოანე პრესვიტერის ლეგენდის ის-ტორიული და ბიბლიური საფუძვლების შესახებ. თბ. 2005 წ.
30. გ. დუნდუა, თ. დუნდუა, ქართული ნუმიზმატი-კა. ტ. I. თბ. 2006 წ.
31. ა. გოგოლაძე, მეფე ხუცესის ტრანსფორმი-რებუ-ლი ვარიანტი დე ბუას ეპისტოლებში. მ. ლორთქი-ფანიძე 85. თბ. 2007 წ.
32. თ. დუნდუა, თ. ქამუშაძე, ანტიკური და ფეოდა-ლური ხანის საქართველოს ნუმიზმატიკა. თბ. 2007 წ.
33. თ. კენკებაშვილი, კოჯორის ისტორია. თბ. 2009 წ.



გამომცემლობა „უნივერსალი”

თბილისი, 0179, გ. კავკავაძის გამზ. 19, ტელ: 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge